ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს დადგენილება ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების ფარგლებში საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ (ოქმი #3, 26.02.2016)

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 23 დეკემბრის #39(04) ბრძანების „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტებზე მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროგრამების განხორციელების ხელშეწყობის შესახებ“ თანახმად გამოცხადდეს განმეორებითი კონკურსი მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი პროგრამის ფარგლებში დაფინანსების მოსაპოვებლად
- კონკურსის პირველი ეტაპის შემდეგ დარჩენილ თანხა გადანაწილდეს შემდეგნაირად:
  - ✓ არაუმეტეს 10 000 ლარი განისაზღვროს ფაკულტეტებს შორის სამეცნიერო თანამშრომლობისთვის
  - ✓ დარჩენილ თანხაზე, რომელიც შეადგენს 22 200 ლარს გამოცხადდეს საერთო კონკურსი. კონკურსის დროს უპირატესობა მიენიჭოს ინტერ დისციპლინურ პროექტებს დეპარტამენტებს შორის თანამშრომლობისთვის
- საპროექტო განაცხადების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2016 წლის 31 მარტი. განაცხადები წარმოდგენილი უნდა იქნეს ფაკულტეტის კანცელარიაში.
- მეორე ეტაპზე გამარჯვებული პროექტების დაწყების თარიღად განისაზღვროს 2016 წლის 15 აპრილი